თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

   1.1 მათემატიკა - პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.2 **ფიზიკა - პროფესორი (1 ვაკანსია);**

   1.3 ფინანსები - პროფესორი (1 ვაკანსია); ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.4 მარკეტინგი - ასისტენტ-პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.5 არქიტექტურა და დიზაინი - ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.6 ახლო აღმოსავლეთის ისტორია - პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.7 მათემატიკური ლოგიკა - ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.8 ვალდებულებითი სამართალი - პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.9 სისხლის სამართალი - პროფესორი (1 ვაკანსია);

   1.10 ადამიანის უფლებათა სამართალი - ასისტენტ-პროფესორი (1 ვაკანსია);

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

   2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მათემატიკის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე

   - ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთ საგნებში როგორიცაა: საყოველთაო მათემატიკა; აზროვნების მათემატიკური წესი; ალბათობა და სტატისტიკა; პრობლემების გადაჭრის მეთოდები მათემატიკაში;
   - საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
   - გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები;
   - მათემატიკური ოლიმპიადებისთვის აბიტურიენტების/სტუდენტების მომზადების გამოცდილება;
   - ინგლისური ენის ცოდნა.

   2.2. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფიზიკის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი თეორიულ ფიზიკაში და პედაგოგიური, სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება, ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემდეგი კურსების მიმართულებით: თეორიული ფიზიკა; თეორიული ფიზიკის მათემატიკური მეთოდები; თეორიული მექანიკა; ზოგადი ფიზიკის მათემატიკური მეთოდები; მაღალი ენერგიის ფიზიკა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები;
- განხორციელებული სამეცნიერო და საგრანტო პროექტები;
- უცხოეთის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციებთან/ინსტიტუციებთან კოლაბორაციის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

2.3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფინანსების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: მათემატიკის დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური ან/და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში ფინანსურ, მენეჯერულ და საგადასახადო აღრიცხვასა და ბიუჯეტირებაში;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომთა ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- სპეციალური კურსების მომზადების გამოცდილება სხვადასხვა ტიპის პროფესიული ჯგუფებისთვის აღრიცხვისა და ბიუჯეტირების მიმართულებით;
- ფინანსური პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- ბიზნეს გეგმების შედგენაში სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საქმიანობის გაწევის გამოცდილება;
- ფინანსებისა და აღრიცხვის მიმართულებით საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული სტატიები;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

2.4. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფინანსების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი მათემატიკაში და პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგნებში როგორიცაა: ფინანსური აღრიცხვა; მენეჯერული აღრიცხვა;

- საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.5. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მარკეტინგის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე

- მარკეტინგის მიმართულებით ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთ საგნებში , როგორიცაა: მარკეტინგის მენეჯმენტი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები;
- მარკეტინგული პროექტების მართვის გამოცდილება;
- ბრენდის მენეჯმენტის, კომუნიკაციების მენეჯმენტის, ბიუჯეტირებისა და მარკეტინგული დაგეგმვის მიმართულებით გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას;

2.6. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **არქიტექტურა და დიზაინის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და ასევე:

- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- მინუმუმ 20 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროში;
- განხორციელებული არიქტექტურული პროექტები;
- მინიმუმ 8 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.7. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ახლო აღმოსავლეთის ისტორიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული

ხარისხი და პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება; ასევე

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სამეცნიერო ნაშრომები;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომთა ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საგრანტო პროექტების განხორციელებისა და მართვის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;

2.8 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მათემატიკური ლოგიკის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიუკურ ლოგიკაში და პედაგოგიური, პრაქტიუკული ან/და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება; ასევე

- უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ლოგიკის, გეომეტრიისა და სივრცითი აზროვნების მიმართულებით;
- ტესტების შექმნის გამოცდილება;
- კვლევითი საქმიანობა ლოგიკის მიმართულებით;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სამეცნიერო ნაშრომები;
- საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით.

2.9. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ვალდებულებითი სამართლის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: სამართლის დოქტორის კვალიფიკაცია და პედაგოგიური/პრაქტიკული ან/და კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთ საგნებში, როგორიცაა: ვალდებულებითი სამართალი - პრაქტიკული კურსი; სახელშეკრულებო სამართალი - პრაქტიკული კურსი I; სამოქალაქო სამართლის პროცესი - ზეპირი და წერილობითი უნარჩვევები; სახელშეკრულებო სამართალი - პრაქტიკული კურსი II

- სამაგისტრო ნაშორმების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- შესაბამის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება;
- ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ჩატარების გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით.

2.10. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სისხლის სამართლის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: სამართლის დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სისხლის სამართლის მიმართულებით;
- საბაკალავრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სამეცნიერო ნაშრომები;
- საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის გამოცდილება;
- პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება;
- უცხო ენის ცოდნა;

2.11. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ადამიანის უფლებათა სამართლის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 10 წლის ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით;
- ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის საკონსტიტუციო სარჩელების წერის და საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლება;
- ადამიანის უფლებათა საკითხებზე სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარების გამოცდილება;
- გამოცდილება საკონსტიტუციო სარჩელების მომზადებასა და ორგანიზაციის წარმომადგენლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;
- ჩატარებული სამართლებრივი კვლევები;
- საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;

- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

2.16. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორცილებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2026 წლის 13 აგვისტოდან - 2026 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/261834590806463**
6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება საჭიროების შემთხვევაში საჩვენებელი ლექცია ან გასაუბრება.
7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2026 წლის 18 აგვისტოდან - 20 აგვისტოს ჩათვლით**, კანდიდატების საბოლოო შერჩევის ვადად განისაზღვრება **2026 წლის 31 აგვისტო.**
8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.
9. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge